საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აკროპოლისი

აკროპოლისი (ბერძნ. akropolis, ლიტ. ცენტრი). ა. იყო პირველადი დასახლ. ადგილი. მის გარშემო შენდებოდა ნაკლებად დაცული ე. წ. ქვედა ქალაქი. იგი წარმოადგენდა ციხესიმაგრეს, რ-საც ომიანობის დროს თავს აფარებდა მოსახლეობა. ა. – ქართულად შიდაციხე, ზედაციხე, ზედაქალაქი – ჰქონდათ ძვ. ქართ. ქ-ებსაც: მცხეთას, თბილისს, ქუთაისს, ციხეგოჯს, ანაკოფიას, ვანს და ა. შ. ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოს კოკეიანოსი (155 ან 164–229) თავის „რომის ისტორიაში“ ა-ად იხსენიებს მცხეთის შიდაციხეს (ზედაციხეს). იგი მოგვითხრობს, რომ ძვ. წ. 65 რომაელთა სარდალი პომპეუსი იბერიაში შეიჭრა და ა-მდე მიაღწია. მცხეთის ამ ნაწილს არმაზციხე ეწოდებოდა.

ა. აფაქიძე